

თემა:7

კურსი: საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებისა
და სწავლის პროცესში

შესავალი

სასწავლო გეგმა, ინსტრუქცია და შეფასება წარმოადგენს განათლების სისტემის სამ ფუნდამენტურ კომპონენტს, დისტანციურ ან პირისპირ სწავლების პროცესში. ისინი აღიქმება როგორც „საკლასო სკამის სამი ფეხი“ და გვახსენებს, რომ თითოეული ფეხი უნდა იყოს თანაბრად მყარი, გაწონასწორებული და მდგრადი, რათა „სკამმა“ შეძლოს სათანადოდ ფუნქციონირება. ჩვეულებრივ კითხვები „რის სწავლებას ვაპირებ და როგორ ვასწავლო?“ პედაგოგის გონებას უფრო მძიმედ აწევს, ვიდრე „როგორ შევაფასო?“ ამ შემთხვევაში, აუდიტორიაში სკამის შეფასების „ფეხი“ ხშირად სამიდან ყველაზე სუსტია, ყველაზე ნაკლებად გასაგებიდან ნაკლებად ეფექტურად განხორციელებული. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა/ლექტორმა თანაბრად იფიქროს როგორც სწავლებაზე, ისე შეფასებაზე, რათა სასწავლო გარემო საკლასო ოთახში იყოს დაბალანსებული.

რატომ და როგორ ვაფასებთ სტუდენტებს? მოითხოვს თუ არა, დისტანციური სასწავლო ოთახი განსაკუთრებულ ყურადღებას შეფასებების შერჩევისა და განხორციელებისას? როგორ იყენებენ წარმატებული მასწავლებლები/ლექტორები შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებს სტუდენტებისთვის, მათთვის გამოხმაურების მისაწოდებლად და მათი სწავლების გასაუმჯობესებლად? ეს არის ის რამდენიმე საკითხი, რომელსაც ჩვენ შევისწავლით ონლაინ განათლების კონტექსტში.

6.1. შეფასების განსაზღვრა, შეფასების სახეები

რა არის შეფასება? შეფასებაში ვგულისხმობთ, იმ ზღვარის განსაზღვრას, თუ რა მოცულობის შედეგების მიღწევა გვსურს და რა იქნა მიღწეული საგანმანათლებლო გარემოში ჩნდება კითხვა: სწავლობენ თუ არა სტუდენტები (ან ისწავლეს თუ არა) იმას, რაც ჩვენ გვინდა, რომ ისწავლონ?

შეფასების სახეები – საფუძვლები. ზოგადად პედაგოგები ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების სამ კატეგორიად კლასიფიცირებას, მათი მიზნიდან გამომდინარე: დიაგნოსტიკური, განმავითარებელი და შემაჯამებელი. დიაგნოსტიკური შეფასება გამოიყენება სტუდენტების წინარე ცოდნის შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად და მცდარი წარმოდგენების გამოსავლენად. ის წინ უსწრებს ინსტრუქციას და არ არის შეფასებული. წინასწარი ტესტირება და სტუდენტების გამოკითხვა არის

დიაგნოსტიკური შეფასების ორი მაგალითი, რომელთა გამოყენებაც მარტივად შეიძლება ონლაინ კურსის დაწყებისას.

შეფასება განმავითარებელია, როდესაც ის აგროვებს ინფორმაციას მუდმივად მთელი კურსის განმავლობაში. ეს ინფორმაცია, შემდეგ გამოიყენება სწავლების პროცესის წარმართვისთვის და სწავლისა და შესრულების გასაუმჯობესებლად. უკუკავშირი სტუდენტებთან არის განმავითარებელი შეფასების ძირითადი კომპონენტი, იქნება ეს შეფასება ფორმალური - შემაფასებელი ჩათვლა, თუ წერილობითი დავალება - თუ არაფორმალური, როგორცაა უკუკავშირი სტუდენტთან, მათი მონაწილეობა სადისკუსიო ფორუმში.

როდესაც სტუდენტების სწავლის შესახებ ინფორმაცია გროვდება და ანალიზდება კურსის დასასრულს, რათა დადგინდეს, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა დასახულ მიზნებს, ამას ეწოდება შემაჯამებელი შეფასება. შემაჯამებელი შეფასება, როგორც წესი, ვლინდება ქულებში, ან ნიშნებში და შესაბამისად, არის შეფასებითი. კულმინაციური პროექტი, დასკვნითი გამოცდა, დავალების შესრულება ან ტესტი წარმოადგენენ შემაჯამებელი შეფასების ნიმუშს.

სწავლის პროცესის შედეგების შეფასება. გაითვალისწინეთ, რომ შეფასების პროცესები მკაფიოდ და პირდაპირ არიან დაკავშირებული კურსის სწავლის პროცესის შედეგებთან. შესრულება იზომება სტუდენტის მუშაობის შედეგით. მუშაობის პროდუქტი შეიძლება შეიცავდეს ნაშრომებს, დავალებებს, ტესტებს, ციფრულ პრეზენტაციებს და პროექტებს. აუდიტორიაში მონაწილეობა, ურთიერთქმედება თანატოლებთან, მასწავლებლებთან და კურსის დამსწრე სტუმრებთან ასევე არის სტუდენტის მუშაობის მაჩვენებელი.

მიმდინარე და განსხვავებული შეფასება. ონლაინ სწავლების პროცესში მონაწილე სტუდენტების შეფასება უწყვეტად მიმდინარეობს. ეს მათ მრავალ შესაძლებლობას ანიჭებს, გააუმჯობესონ და განამტკიცონ თავიანთი ცოდნა და უნარები. დისტანციური სწავლების პროცესში მონაწილე სტუდენტების რეგულარულად შეფასება, ხაზს უსვამს იმას, თუ რა ეტაპზე იმყოფებიან ისინი სწავლის პროცესში.

მიმდინარე შეფასება ითვალისწინებს:

- ✓ სტუდენტის ჩართულობისა და მონაწილეობის რაოდენობრივ მტკიცებულებას;
 - ✓ სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობას;
 - ✓ კურსის ფარგლებში სტუდენტის პროგრესის მაჩვენებლების დემონსტრირებას;
- და

- ✓ სტუდენტებისთვის შესაძლებლობის მინიჭებას შეამოწმონ და გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და უნარები.

ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტის მუშაობის შეფასება, შეფასების სხვადასხვა ტიპების (ანუ არამხოლოდ ტესტების) საფუძველზე. ყველა უნარები და ცოდნა არ შეიძლება შეფასდეს ერთიდაიგივე შეფასების ტექნოლოგიით. სხვადასხვა ტიპის აქტივობები წახალისებულია და მარტივად განსახორციელებელია დისტანციურად, თუ თქვენთვის ცნობილია მისი საფუძვლები. ეს შეიძლება მოიცავდეს ონლაინ ჯგუფში/კლასში დისკუსიებს და ჯგუფურ პროექტებს. ეს ასევე გვიცავს თაღლითობისგან. როდესაც თქვენ გაქვთ შეფასების მრავალი სახეობები სხვადასხვა ფორმით, შეგიძლიათ უკეთესად შეაფასოთ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაო.

6.2. შეფასება დისტანციურ გარემოში, გამოწვევები და შესაძლებლობები

ჯანსაღი შეფასების პრინციპები იგივეა, მიუხედავად იმისა, სწავლების პროცესი მიმდინარეობს პირისპირ თუ დისტანციურად:

- ✓ შეფასებები პირდაპირ შეესაბამება მკაფიოდ დასახულ სასწავლო მიზნებს.
- ✓ გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, დაწყებული არაფორმალური შეფასებებიდან, როგორცაა სადისკუსიო დიალოგები და რეფლექსიული დღიურები/ ჟურნალები, ტრადიციულ ტესტები და ყველაზე რთულ დონეზე, ღია აკადემიური მოთხოვნები და შესრულების ამოცანები.
- ✓ პედაგოგს აქვს დანერგილი დიაგნოსტიკური, განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების სტრატეგიები, სწავლების პროცესში პროგრესის შესაფასებლად.
- ✓ სასწავლო მიზნები და შესრულების კრიტერიუმები გამჭვირვალეა სტუდენტებისთვის, ძირითადი კითხვებისა და შემაფასებელი რუბრიკების გამოყენებით.
- ✓ პედაგოგი უზურნველყოფს სტუდენტებს მუდმივი უკუკავშირით, რომელიც ეფუძნება განმავითარებელი შეფასების შედეგებს, რათა დაეხმაროს მათ სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზის შევსებაში.
- ✓ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თავად დაფიქრდნენ და თვითონ შეაფასონ სწავლის პროცესი.

თუმცა, დისტანციური სწავლება გვთავაზობს როგორც გამოწვევებს, ასევე შეფასების სხვადასხვა შესაძლებლობებს.

დისტანციური სწავლების გამოწვევები

- ✓ ახალმა რეალობამ მოიტანა ახალი მოთხოვნები: გვჭირდება მეთოდები ონლაინ გარემოში სასწავლო პროცესის აუთენტიფიკაციისთვის. დიდი ალბათობით, ეს განხორციელდება ტექსტის ჩამბარებლებზე მეთვალყურეობით, ადგილზე დამკვირვებლების ან კამერის აღჭურვილობის მეშვეობით, რომელიც აკონტროლებს სტუდენტებს გამოცდების ჩაბარების დროს.
- ✓ დისტანციურ რეჟიმში მომუშავე მასწავლებლები უნდა მიეჩვიონ დავალებებისთვის ციფრული უკუკავშირის უზურნველყოფას და არა ხელით დაწერილ „მარგინალებს“.

დისტანციური სწავლების შესაძლებლობები

დისკუსია, როგორც შეფასების ინსტრუმენტი იღებს ახალ ფორმას. საკლასო ოთახში დისკუსია მწირად გამოიყენება, როგორც შეფასების საშუალება, პირისპირ მიმდინარე კურსებზე. მასწავლებლებმა შეიძლება მიაწოდონ სტუდენტებს ერთი „მონაწილეობის შეფასება“ კურსის ბოლოს, დისკუსიის დონის მიხედვით. ეს ძირითადად გამოიყენება სტუდენტის ყურადღების შესანარჩუნებლად. მაგრამ ონლაინ კურსები იძლევა დისკუსიის ბევრად უფრო დეტალურ შეფასებას.

- ✓ პირველ რიგში, სტუდენტებს შეუძლიათ და უნდა მოეთხოვოთ ყოველ კვირას გამოაქვეყნონ სადისკუსიო კომენტარების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ფასდება ფორმალური დავალებებისთვის გამოყენებული რუბრიკების მიხედვით. ეს საშუალებას იძლევა სტუდენტთა სწავლის პროცესისთვის ონლაინ განმავითარებელი შეფასების განხორციელებას, რომელიც აკონტროლებს თუ რამდენად კარგად ესმის აუდიტორიას, ისევე როგორც ცალკეულ სტუდენტს ამ საგანის არსი.
- ✓ მეორე, რადგან ონლაინ დისკუსიას ნაკლები საზღვრები გააჩნია, ვიდრე პირისპირ სწავლებას, მოსწავლეებს შეუძლიათ ონლაინ დისკუსიის დროს მიეცეთ შესასრულებელი დავალებები, რათა უკეთ მოხდეს მათ მიერ აღქმულის შეფასება. მაგალითად, თუ ლექციის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტებს განუვითაროს უნარი, შეაფასონ და წარმოადგინონ რეკომენდაციები იმ საკითხებზე, რომლებსაც ისინი შესაძლოა შეხვდნენ სამუშაო ადგილზე, სადისკუსიო კითხვების საშუალებით, შეიძლება შეიქმნას ჰიპოთეტური სიტუაციები და მოვთხოვოთ სტუდენტებს ამ სიტუაციების ანალიზი და მათი მოგვარება.

ონლაინ რეჟიმში მონაწილე სტუდენტების აუთენტიფიკაცია

აუცილებელია შეიქმნას გაიდლაინები იმის უზურუნველსაყოფად, რომ სტუდენტი, რომელმაც მიიღო კრედიტი კურსისთვის - იგივე სტუდენტია, ვინც შეასრულა

აღნიშნული სამუშაო. ეს კეთდება პროქსის¹ მარტივად გამოსაყენებლად დისტანციურ გარემოში ტესტების ჩასატარებლად.

რასაკვირველია, ვინმეს შეუძლია ისევე მარტივად, დაესწროს ლექციებს პროქსის გამოყენებით პირისპირ გარემოში - არავინ ითხოვს პირისპირ ჩატარებულ მეცადინეობაზე სააუდიტორიო ოთახის კართან იდენტიფიკაციას - და არ არსებობს სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს, რომ პროქსების გამოყენება უფრო ხშირია ონლაინ კლასში, ვიდრე პირისპირ -საკლასო აუდიტორიაში.

მიუხედავად ამისა, თუ ჩვენ გვაქვს მოთხოვნა, რომ მათ მოვახდინოთ ონლაინ სტუდენტთა აუთენტიფიკაცია. აუთენტიფიკაციის საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება არის ტესტების მონაწილეთა მიმართ მოთხოვნა მეთვალყურის გამოყენების შესახებ. არსებობს პროფესიონალური მეთვალყურეობის სერვისები, რომლითაც ბევრი ასეთი სახით ატარებს გამოცდას. მაგრამ იმის გამო, რომ სტუდენტები შეიძლება იმყოფებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, სადაც ამ სერვისების გამოყენება მათთვის არ იყოს მოსახერხებელი, ბევრი მეცნიერი მიმართავს იდენტიფიკაციის სხვა ტექნოლოგიას. ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია არის 360-გრადუსიანი ვებკამერა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ მეთვალყურეობას ტესტის ჩამბარებელზე და მის შემოგარენზე, რათა დაზღვეულნი იყვნენ, რომ არავითარი ჩანაწერები არ გამოიყენება. ამ მოწყობილობებს ასევე შესაძლოა მოჰყვეს თითის ანაბეჭდის გადამღები სკანერი ტესტის ჩატარებამდე გამოსაყენებლად, თუმცა ეს წარმოშობს პრობლემას, თუ როგორ უნდა მოხდეს ორიგინალი თითის ანაბეჭდის აუთენტიკაცია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აღნიშნული ტექნოლოგია თავად ვერ აღმოაჩენს თაღლითობას - *მას შეუძლია მხოლოდ მომხმარებლის ჩვენება*. ვინმემ უნდა თვალყური ადევნოს მომხმარებლებს, რეალურ დროში ან მოგვიანებით ვიდეოზე, რათა დარწმუნდეს, რომ თაღლითობას ადგილი არ ჰქონია. დიდი ჯგუფის შემთხვევაში, მონიტორინგს შესაძლოა დასჭირდეს ცოტა მეტი დრო. ამრიგად, ზოგიერთი კომპანია, როგორცაა "სოფთვეარსექიური" Software Secure, გვთავაზობს როგორც ვებ კამერას, ასევე ნებაყოფლობითი მონიტორინგის სერვისს, რომელსაც იყენებენ მათი თანამშრომლები ვიდეოკასტების სანახავად საათობრივი განაკვეთით. თუმცა, ეს სერვისები მხოლოდ საექვო ქცევას მონიშნავენ - შემდეგ ვილაცამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გადახედოს ვიდეოს და გადაწყვიტოს, მოითხოვენ თუ არა ეს ქმედებები რეაგირებას.

¹ იგივეა რაც სერვერი. proxy server, proxy - სერვერი, რომლის გავლითაც იღებ პაკეტებს ინტერნეტიდან.

6.3. უკუკავშირის როლი და სტუდენტის

მოლოდინების განსაზღვრა

პედაგოგთან დამყარებული კარგი უკუკავშირი შეფასებებთან მიმართებაში ხელს უწყობს და აუმჯობესებს ონლაინ სწავლების პროცესს. კერძოდ, უკუკავშირის როლია:

- ✓ გააფართოვოს სტუდენტის ცოდნა;
- ✓ დაეხმაროს სტუდენტს გაიაზროს, თუ როგორ გააუმჯობესოს და მიაღწიოს პროგრესს სასწავლო კურსის მიმდინარეობის ფარგლებში;
- ✓ მცდარი წარმოდგენებისა და გაუგებრობების გარკვევა და შეცდომების გამოსწორება.

მუდმივი შეფასება ააქტიურებს სტუდენტს მთელი კურსის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით მართებულია, როდესაც მასწავლებლის უკუკავშირი დროულია. რეგულარული და დროული უკუკავშირი ეხმარება სტუდენტებს შესწავლის გაუმჯობესებაში. მან უნდა გამოყოს ის სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, წარმოადგინოს წინადადებები მომავალში სწავლისთვის და მიუთითოს, სად იქნა მიაღწეული პროგრესი.

მნიშვნელოვანია, რომ აცნობოთ, თუ როდის და როგორ მიიღებენ სტუდენტები უკუკავშირს, თავიანთ სამუშაოზე. აუდიტორიაში ჩატარებულ კურსზე, მასწავლებელს შეუძლია ამის გაკეთება სტუდენტთა წინაშე განცხადების მეშვეობით. ონლაინ მეცადინეობაზე პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს განცხადებების ინსტრუმენტი, რათა აცნობოს სტუდენტებს თუ როდის და როგორ განხორციელდება გამომხმარებელთა კონკრეტულ დავალებაზე.

უკუკავშირის სხვა ტიპები:

როგორც უკვე განვიხილეთ, პედაგოგის უკუკავშირი უნდა იყოს უწყვეტი, სტუდენტის მუშაობის შეფასების რეგულარული შესაძლებლობებით. გარდა ამისა, გამომხმარებელთა შეიძლება იყოს ჯგუფის წევრებისგან და ლექციაზე დამსწრე სტუმრებისგან, რომლებიც ფლობენ სპეციალურ ცოდნას კურსის შესახებ.

უკუკავშირი ჯგუფის წევრებთან

როდესაც სტუდენტები იღებენ გამომხმარებელთა თავიანთ სამუშაოზე ჯგუფის წევრებისგან, შედეგად მიიღება:

- სტუდენტები გრძნობენ, რომ მათი შრომის შედეგი არა მხოლოდ მასწავლებელს ეხება, არამედ მას აფასებს უფრო დიდი აუდიტორია და კომენტარს აკეთებს მათ ნამუშევარზე.

- სტუდენტები სწავლობენ თუ როგორ უნდა შეაფასონ კრიტიკულად სხვისი ნამუშევარი.
- სხვების ნამუშევრის შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს თვითკრიტიკა საკუთარი სამუშაოსადმი მიდგომისას.
- ერთსა და იმავე თემაზე მრავალმა პერსპექტივამ შეიძლება გამოიწვიოს ამ თემის უფრო ღრმა აღქმა და სინთეზი.

როდესაც სტუდენტებს სთხოვთ მოახდინონ სხვისი ნაშრომის შეფასება, დაადგინეთ შეფასების კრიტერიუმები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფური პროექტებისთვის, სადაც თითოეული წევრი აფასებს ერთმანეთის წვლილს.

სტუმრების გამოხმაურება

სტუმრების გამოხმაურებამ, როგორც არიან აღნიშნული დარგის ექსპერტები, შესაძლოა სტუდენტის საქმიანობა რეალურ სამყაროს კონტექსტს დაუკავშიროს. ონლაინ კურსში ადვილია სტუმრების ჩართვა მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან.

კომპიუტერიზებული ავტომატური უკუკავშირი

სმს LMS-ების უმეტესობა აღჭურვილია ტესტირების ხელსაწყოთი, რომელიც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შექმნან ონლაინ ტესტი მყისიერი გამოხმაურებით. გამოხმაურება, რომელიც გენერირებულია ავტომატურად, უნდა იყოს აღწერილობითი. თითოეულ პასუხს თან ახლავს ახსნა-განმარტებები და აღწერა, თუ რატომ იყო მოსწავლის არჩევანი სწორი ან არასწორი. გაითვალისწინეთ, რომ ავტომატური გამოხმაურება განსაკუთრებით სასარგებლოა პერიოდული თვითშეფასებისთვის. გამოიყენეთ მასწავლებელი, ჯგუფის წევრები, სტუმარი და ავტომატური გამოხმაურება თემის განმარტებისათვის, განსავითარებლად და გასაღრმავებლად.

- ✓ ლექტორი, ჯგუფის წევრები, სტუმარი და ავტომატური გამოხმაურება განმარტავენ, აღრმავებენ და განავრცობენ თემას.
- ✓ კრიტერიუმები და პროცედურები თანატოლთა შემოწმებისა და შეფასებისთვის უნდა იყოს გასაგები.
- ✓ კურსის განმავლობაში გამოიყენება თვით კორექტირებისა და თვითშეფასების აქტივობები, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ შეცვალონ სწავლის ტემპი საგნის შესაბამისად.
- ✓ სტუდენტებმა იციან როდის და როგორ მიიღებენ უკუკავშირს ლექტორისგან;
- ✓ შეფასებული ელემენტები მკაფიოდ არიან გამოყოფილი მათგან, რომლებიც ჯერ არ არის შეფასებული.
- ✓ მკაფიოა კავშირი შეფასებულ ელემენტებსა და საბოლოო შეფასებას შორის.

ტექსტური გამოხმაურება. სტუდენტების ნაშრომების მინდვრებზე, ხელნაწერი კომენტარების ჩაწერის შესაძლებლობის არ არსებობის გამო, ონლაინ რეჟიმში მომუშავე ლექტორთა უმეტესობა, იყენებს რედაქტირების ფუნქციებს ტექსტის დამუშავების პროგრამის ფარგლებში, რათა სტუდენტები უკუკავშირით უზურნველყონ. აქ მოცემულია, რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა ციფრული უკუკავშირის გამოყენებისთვის:

- ✓ ყოველთვის შეინახეთ რედაქტირებული ვერსია ახალი ფაილის სახელით, რათა შეინარჩუნოთ როგორც ორიგინალი, ასევე რედაქტირებული ვერსია, თუ მომავალში მათ შესახებ გაჩნდება შეკითხვები.
- ✓ კომენტარების დასამატებლად გამოიყენეთ გამოხმაურების „კომენტარის“ ველები.
- ✓ მოერიდეთ „შეცდომების“ აღმნიშვნელი ფუნქციის გამოყენებას წერილობითი შეცდომების გასწორების დროს. სტუდენტისთვის ძალიან ადვილია, უბრალოდ დააჭიროს „ცვლილებების მიღებას“ კომენტარების გადახედვის გარეშე. ამის ნაცვლად, გამოიყენეთ კომენტარის ფუნქცია და მიუთითეთ „მართლწერა, გრამატიკა, შეუსაბამო“ და შემდეგ მოსთხოვეთ სტუდენტებს თავად აღმოაჩინონ შეცდომა.

ხმოვანი გამოხმაურება. ონლაინ გარემოში, ლექტორები, როგორც წესი, იყენებენ იგივე ტექსტური გამოხმაურების მეთოდს, რომელსაც იყენებდნენ ქაღალდზე დაწერილი დავალებების კომენტარების დასაწერად, მაგრამ ციფრული გარემო, უზურნველყოფს უკუკავშირის სხვადასხვა ტიპებს, მათ შორის ხმოვანს, ვიდეოს, ბმულებს და ა.შ. კერძოდ, ხმოვანი გამოხმაურება შეიძლება იქცეს ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებად სტუდენტების სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

ჩაატარდა ვრცელი კვლევები, რომელიც ადარებდა ხმოვანი გამოხმაურებისა და ტექსტური გამოხმაურების ზეგავლენას სტუდენტების სწავლის პროცესზე და მისი დასკვნები გასაოცარია. სტუდენტები წერენ ხმოვანი გამოხმაურების მრავალფეროვანი უპირატესობის შესახებ, ტექსტურ გამოხმაურებასთან შედარებით:

- გაუმჯობესდა ნიუანსის გაგების უნარი: სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ უკეთესად შეძლეს ლექტორის განზრახვის გაგება. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ უფრო ნათლად დაინახეს მასწავლებლის მიერ მათი წახალისება და მათ მიმართ ყურადღების გამახვილება.
- გაზრდილი ჩართულობა: სტუდენტები თავს ნაკლებად იზოლირებულად გრძნობდნენ ონლაინ გარემოში და უფრო მეტად იყვნენ მოტივირებულები მონაწილეობის მისაღებად, როდესაც ესმოდათ მასწავლებლის ხმა.

- გაიზარდა შინაარსის შენახვა: სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ უფრო კარგად დაიმახსოვრეს აუდიოკავშირის ჩანაწერი, ვიდრე ტექსტური გამოხმაურება. საინტერესოა, რომ მათ ასევე განაცხადეს, რომ მათ მეხსიერებაში აღებეჭდათ იმ კურსის შინაარსი, რომელთანაც უკეთესი უკუკავშირი არსებობდა ვიდრე ტექსტური გამოხმაურება. ამგვარი სახის გამოტანილი დასკვნები გამყარებულია იმ ფაქტით, რომ სტუდენტებმა თავიანთ ფინალურ პროექტებში სამჯერ მეტი აუდიო მასალების გამოხმაურება შეიტანეს, ვიდრე ტექსტური გამოხმაურება.
- პედაგოგის მზრუნველობის ზრდა: სტუდენტი განმარტავდნენ რომ მასწავლებლები უფრო მეტ ყურადღებას იჩენდნენ მათ და მათი ნაშრომის მიმართ აუდიო გამოხმაურებაში, ვიდრე ტექსტურ გამოხმაურებაში. ეს განსხვავება განპირობებული იყო აუდიოკავშირით, რომლებიც უფრო პერსონალური იყო, ვიდრე ტექსტური გამოხმაურება.

აუდიოკავშირი არა მხოლოდ აუმჯობესებს სწავლის პროცესს და ჩართულობას ონლაინ კურსში, არამედ ზოგავს მასწავლებლების დროსაც. მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ დახარჯეს საშუალოდ 13,43 წუთი თითო დავალებაზე ტექსტური გამოხმაურების მიწოდებაზე და მხოლოდ 3,81 წუთი თითო დავალებაზე ხმოვან გამოხმაურებაზე, თუმცა გამოყენებული სიტყვების საშუალო რაოდენობა იყო 129,75 ტექსტური გამოხმაურებით და 331,39 სიტყვა აუდიო გამოხმაურების დროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებლები აუდიო გამოხმაურებით ნაკლებ დროში მეტ გამოხმაურებას ახორციელებდნენ. ეს განპირობებულია იმ მარტივი ფაქტით, რომ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე სწრაფად, ვიდრე ვბეჭდავთ და არ ვჭირდება მართლწერაზე ზრუნვა.

უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ხუთჯერ მეტ ზედსართავ სახელს იყენებდნენ აუდიო კავშირის დროს, ვიდრე ტექსტურ გამოხმაურებაში. ზედსართავი სახელების გამოყენება ზოგადად უფრო გამომხატველობით ენაზე მიუთითებს და შესაძლებელია, რომ ეს გამომხატველობითობა ხელს უწყობს უკუკავშირის პერსონალიზაციას.

ხმოვანი გამოხმაურება ძალიან იოლად შეგიძლიათ დაამატოთ ნებისმიერ ტექსტურ დოკუმენტში. უბრალოდ გახსენით დოკუმენტი ტექსტის ნებისმიერ პროცესორში, როგორცაა „მაიკროსოფტვორდი“ Microsoft Word და ჩადეთ ხმის ფაილი. პროცესორი ხსნის დიალოგის ფანჯარას, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ჩაწეროს პირდაპირ ფაილში მიკროფონით.

სტუდენტის მოლოდინების განსაზღვრა

- შეფასების მკაფიო კრიტერიუმები ნათელს ხდის სტუდენტის მოლოდინებს თითოეული შეფასებისთვის.
- თითოეული შეფასებული საკითხი ნათლად არის ახსნილი სილაბუსში, რომელსაც თან ახლავს პროცენტული მაჩვენებელი.
- შეფასების კრიტერიუმები ასახულია კურსის სილაბუსში და შესაბამის დავალებებსა თუ აქტივობებში.
- შეფასების კრიტერიუმები დეტალურად აღწერს, თუ როგორ შეესაბამება თითოეული საკითხის ქულა თითოეული დავალების ანაქტივობის კონკრეტულ მოთხოვნებს (ეს შეიძლება გაკეთდეს რუბრიკის გამოყენებით).
- საკითხებისთვის, რომლებიც ჯერ არ არის შეფასებული მნიშვნელოვანია მოლოდინის დაზუსტება, რათა სტუდენტებმა გააცნობიერონ ბრწყინვალე შესრულების და/ან მუშაობის კრიტერიუმები.
- შეფასებული საკითხები იწერება შეფასების ელექტრონულ ჟურნალში. შეფასების ელექტრონული ჟურნალი საშუალებას აძლევს სტუდენტებს თვალყური ადევნონ თავიანთ პროგრესს სასწავლო კურსის მიმდინარეობის მანძილზე და მაშინვე შეამოწმონ, როდის მიენიჭათ შეფასება.

სტუდენტს, თითოეული ონლაინ დავალებისა და აქტივობისთვის უნდა მიეწოდოს შემდეგი საკითხები:

- ✓ აქტივობის სათაური
- ✓ ინსტრუქციები და მოთხოვნები
- ✓ შეფასების კრიტერიუმები
- ✓ შესრულების თარიღი
- ✓ განთავსების ადგილი (დისკუსიის ფორუმი, საფოსტო ყუთი, ბლოგი) და
- ✓ სად და როდის მიიღებს მოსწავლე მასწავლებლის გამომხატურებას.

6.4. ინოვაციური შეფასება

6.4.1 ინოვაციური შეფასების განსაზღვრა

ინოვაციური შეფასება წარმოადგენს სხვადასხვა მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობას (ახლის, თანამედროვე და „ძველმოდურის“), რომლებიც გაერთიანებულია სტუდენტების სწავლის პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინოვაციური შეფასება ასევე განიხილება, როგორც შეფასების ნებისმიერი ფორმა, რომელიც აუმჯობესებს სტუდენტთა სწავლის პროცესს სხვადასხვა მიდგომებით და უფრო ქმედითი გზით აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს. ის ასევე შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის ინსტრუქციებს, რომელიც პასუხობენ სტუდენტთა სხვადასხვაგვარ მოლოდინებს.

ინოვაციური შეფასება ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესებთან, რომლის მიზანია სწავლების მეთოდების გაუმჯობესება და სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა. ინოვაციური შეფასება უნდა დაეხმაროს, წახალისოს და შთააგონოს სტუდენტები, რომ მათ უფრო აქტიური როლი ითამაშონ და მონაწილეობა მიიღონ შეფასების ინოვაციური მიდგომის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლიათ გააუმჯობესონ შეფასების მეთოდების სისწორე და სანდოობა. მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ განმავითარებელი და შემაჯამებელი ტექნიკური საშუალებების (მაგ. პორტფოლიოები, სასწავლო ანალიტიკა) და ფორმატების (მაგ. თვით--, თანატოლთა ან ჯგუფური შეფასება) გაერთიანებაში. ინოვაციური შეფასება აუცილებლად უნდა იყოს მხარდაჭერილი.

შეფასების ინოვაციური მიდგომები. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები უნდა წარმოადგენდნენ შეფასების ნებისმიერი სისტემის ცენტრალურ ღერძს, თვითშეფასებას და თანატოლების შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გარდა ამისა, შეირჩა შეფასების სამი ციფრული ინსტრუმენტი, რომლებიც ეფუძნება კონტექსტს, მრავალმნიშვნელოვნებას და უზრუნველყოფს აუთენტური სწავლის პროცესის ყოვლისმომცველ ხედვას: ციფრული სამკერდე ნიშნები, სიმულაციები და სწავლის პროცესის ანალიტიკა.

6.4.2. თვითშეფასება. ტენოლოგების გამოყენება

თვითშეფასებაში და მტკიცებულებები

თვითშეფასება გულისხმობს სტუდენტთა უნარს შეაფასონ სწავლის პროცესი და ასევე მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხი. იგი განიხილება, როგორც თვითრეგულირებადი სწავლების ინტეგრირებული ნაწილი, ვინაიდან სტუდენტი ეწევა, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას. თვითშეფასების დროს სტუდენტმა ჩვეულებრივ უნდა შეაფასოს მისი სწავლის პროცესი შესრულების ზოგიერთი კრიტერიუმის მიხედვით.

თუმცა, თვითშეფასება ყველაზე ეფექტურია, როდესაც სტუდენტი ერთვება კრიტიკულ ანალიზში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შეხედულებების ჩამოყალიბება და გააღრმავოს საკუთარი თავის შეცნობა. თვით ანალიზის დროს, სტუდენტებს უნდა შეეძლოთ შეისწავლონ თავიანთი აზრები და ემოციები, ეჭვქვეშ დააყენონ მათი ვარაუდები და თუ როგორ აღიქვამენ და ინტერპრეტირებენ ისინი მოვლენებს გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ამრიგად, კრიტიკული ანალიზის საშუალებით სტუდენტმა უნდა შეეცვალოს აზროვნება და განიხილოს ახალი იდეები. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევით სწავლა (გაუთვალისწინებელი შესწავლა, რომელიც არ არის დაკავშირებული წინასწარ განსაზღვრულ მიზნებთან) და გააფართოვოს მათი აზროვნება კონკრეტული დისციპლინის ან სასწავლო ღონისძიების საზღვრებს მიღმა.

თვითშეფასების პროცესი სტუდენტებისგან მოქმედების სამ საფეხურს მოითხოვს. პირველი, იცოდეს განსხვავება მისი კომპეტენციის რეალურ დონესა და მოსალოდნელს შორის. მეორე, იცოდეს რა ალტერნატიული ქმედებები არსებობს და აირჩიოს შესაბამისი. მესამე, მოქმედების შესრულება და კომპეტენციის მოსალოდნელი დონის მიღწევა. თვითშეფასება - განმავითარებელი შეფასების არსებითი ნაწილია, რადგან სტუდენტმა უნდა გადადგას ნაბიჯები რომ შეავსოს განსხვავება არსებულ დონესა და მოსალოდნელ დონეს შორის.

თვითშეფასების ფორმები მოიცავს შეფასებას მოცემული კრიტერიუმების გარეშე (სუბიექტური თვითშეფასება), რუბრიკები, რომლებიც მოიცავს კრიტერიუმებს და შესრულების სტანდარტებს, სკრიპტებს, სადაც სტუდენტებმა უნდა უპასუხონ კითხვებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ამოცანის შესრულების პროცესზე და ჩანაწერების ჟურნალებზე. თუმცა, უკანასკნელი შედეგები (ბოლო კვლევები) ვარაუდობენ, რომ პოზიტიური შედეგები დამოკიდებულია სხვადასხვა თვითშეფასების ინტერვენციების კომბინაციაზე და მათი განხორციელების გზებზე და არა კონკრეტულ ფორმატებზე.

თვითშეფასების მთავარი მოთხოვნას წარმოადგენს მოსწავლის უნარი, ამოიცნოს, თუ რა იყო სწორი და რა - არასწორი ქცევის გამოსასწორებლად, თუმცა, სხვადასხვა პროფესიონალური კონტექსტების შედეგები თანმიმდევრულად გვიჩვენებენ, რომ როდესაც ადამიანები საკუთარ თავს აფასებენ, ისინი უშვებენ მნიშვნელოვან შეცდომებს. ისინი გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ გამოცდილებას, უნარებსა და ხასიათის თვისებებს. ფაქტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტუდენტები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ზუსტი თვითშეფასების მისაღწევად და თუკი მათ აქვთ ასეთი ინფორმაცია, ისინი არ ანიჭებენ მას დიდ მნიშვნელობას ან არ ითვალისწინებენ მას. აქედან გამომდინარე, ისინი

გადაჭარბებულად აფასებენ მათ მიერ განხორციელებულ სამუშაოს, ათვისებულ უნარებს და ხშირად არა ზუსტად განსაზღვრავენ თავიანთ სუსტ მხარეს. თუმცა, მაშინაც კი, თუ შეფასება არაზუსტია, მოსწავლის ჩართულობა ასეთ პროცესში ღირებულია, რადგან თვითშეფასების მიზანი არ არის მოსწავლის მიერ მიღწეული დონის ანგარიშვალდებული მონიტორინგის უზრუნველყოფა, არამედ მათი მიერ სწავლის პროცესის ანალიზირების სტიმულირება, რომ მათ თვალნათლივ დაინახონ საკუთარი თავი სწავლის პროცესში და დაფიქრდნენ იმაზე თუ როგორ გააუმჯობესონ მათი საქმიანობა.

უამრავმა კვლევამ მაჩვენა, რომ შესაძლებელია თვითშეფასების უნარების სწავლება და რომ სტუდენტთა ჩართულობა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში დადებითად მოქმედებს მათი თვითშეფასების სიზუსტეზე, ხოლო მკაფიო, კონკრეტული და კარგად გააზრებული კრიტერიუმები ზრდის თვითშეფასების სიზუსტის მიღწევის შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, ზოგიერთ სტუდენტს ურჩევნია დაეყრდნოს მასწავლებლის შეფასებას, ვიდრე საკუთარი თავის შეფასებას, ამიტომ ისინი უნდა დაარწმუნონ თავიანთი მუშაობის ხარისხის შეფასების სარგებლის შესახებ. სტუდენტებს ასევე შესაძლოა არ სურდეთ გაამყდავონ თავიანთი თვითშეფასებები, განსაკუთრებით თუ ისინი უარყოფითია. მიუხედავად ამისა, სტუდენტებმა უნდა გაიგონ არსებული შეუსაბამობის შესახებ საკუთარ და გარე შეფასებას შორის, რათა მოხდეს სამუშაოს გამოსწორება. თავდაპირველად სწავლება და საუბარი, ხარისხიანი უკუკავშირის მიწოდებით, შესაძლოა დაეხმაროს სტუდენტებს ასეთ პროცესში მათი თვითშეფასებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. რაც მთავარია, საჭიროა მათთან სანდო და უსაფრთხო ურთიერთობის დამყარება, კეთილსინდისიერი გარემოს შექმნის მიზნით.

სტუდენტთა გამოცდილების დონე და წინარე ცოდნა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი თვითშეფასების ხარისხზე. ახალბედა სტუდენტებს არ აქვთ ცოდნა ხარისხიანი სამუშაოს სტანდარტების შესახებ, მათ უჭირთ თავიანთი ქმედებების შეცვლა და თავიანთი შრომის ნაყოფის შეფასება, ხოლო ნაკლებად ქმედუნარიანი სტუდენტები მიდრეკილნი არიან გადაჭარბებულად შეაფასონ მათი მუშაობის ხარისხი. ამის საპირისპიროდ, ისინი, ვინც სათანადოდ არ აფასებენ თავიანთ საქმიანობას, ჩვეულებრივ, ძალიან კომპეტენტურები არიან. ვარაუდობენ, რომ გამოცდილება ზრდის პიროვნების ცნობიერებას იმის შესახებ, თუ რამდენი რამ არის კიდევ შესასწავლი, რაც გავლენას ახდენს მის თვითშეფასებაზე.

თვითშეფასება ტექნოლოგიის გამოყენებით

ტექნოლოგიის გამოყენებით თვითშეფასების განხორციელება ნიშნავს, რომ თვითშეფასება ხორციელდება კომპიუტერისა და მობილური მოწყობილობების მეშვეობით. კვლევა ჩატარდა სკოლის მოსწავლეებზე და მან აჩვენა, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ თვითშეფასებაში ფიზიკაში, კომპიუტერის/მობილური მოწყობილობების მეშვეობით, გამოავლინეს უფრო მეტი მოტივაცია, ქაღალდზე მუშაობასთან შედარებით. გარდა გაზრდილი მოტივაციისა, მათ ასევე გამოავლინეს უფრო მეტი ცოდნა და შემსრულებლობა. მოსწავლეებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ კომპიუტერულ თვითშეფასებაში, მიაღწიეს 10%-ით უკეთეს შედეგს, ვიდრე მათ, ვინც არ მონაწილეობდნენ.

საბოლოოდ, ციფრული ტექნიკის გამოყენებით ჩატარებულ თვითშეფასებისას, ახალბედა მოსწავლეები თავს უფრო თავდაჯერებულად გრძნობენ, ამოცანები უფრო საინტერესო ხდება და შესაბამისად უფრო მეტად არიან ჩართულნი. გარდა ამისა, ისინი, ვინც მონაწილეობენ კომპიუტერულ თვითშეფასებაში. უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ სწავლის პროცესში.

თვითშეფასების მტკიცებულება

კვლევების სისტემატურმა მიმოხილვამ, აჩვენა თვითშეფასების დადებითი გავლენა, სწავლის პროცესსა და მიღწევებზე ქულების რაოდენობის და საგნების მიხედვით, ასევე სტუდენტის თვითრეგულირებად სტრატეგიებსა და ქმედითობაზე. ვარაუდობენ, რომ თვითშეფასებაში ჩართვა აძლიერებს და აღრმავებს სწავლის პროცესს და, შესაბამისად, სტუდენტები უკეთესად ასრულებენ დავალებას. შემდგომ, ეს წარმოშობს ღირებულების გრძნობას, მათი შესაძლებლობების უკეთესად აღქმას, რაც ზრდის მათ ქმედითობას. შემდეგი მტკიცებულება მიუთითებს, რომ ქმედითობა იყო ერთ-ერთი კონსტრუქცია, რომელსაც ყველაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა ზრდასრულთა სწავლის პროცესზე, მიზნობრივ დონესთან, შეუპოვრობასა და ძალისხმევასთან ერთად.

უფრო მეტიც, თვითშეფასება აძლიერებს სტუდენტებს, რადგან ისინი თავად ფლობენ სწავლის პროცესის სადავეებს და ეს ზრდის თვითრეგულირების სტრატეგიების გამოყენებას. ემპირიული მტკიცებულებები ასევე ვარაუდობენ, რომ თვითშეფასება დაკავშირებულია სტუდენტის მოტივაციის, ჩართულობის, ქცევისა და სტუდენტის მასწავლებელთან ურთიერთობის ხარისხის ზრდასთან.

6.4. 3. ურთიერთშეფასება/თანატოლთა შეფასება, ტექნოლოგიების გამოყენება და მტკიცებულებები

თანატოლთა შეფასება ეხება „საპასუხო პროცესს, რომლის დროსაც სტუდენტები აწარმოებენ უკუკავშირის მიმოხილვას თანატოლების ნამუშევრებზე და იღებენ უკუკავშირს თანატოლების განსაკუთარ ნამუშევარზე“. თანატოლთა შეფასება შეიძლება იყოს განმავითარებელი ან შემაჯამებელი, რაოდენობრივი (შეფასების მიწოდება) ან ხარისხობრივი (გაფართოებული სიტყვიერი გამოხმაურების მიწოდება) ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ნაშრომების შეფასება თანატოლების მიერ, როგორცაა წერილობითი დავალებები, პრეზენტაციები, პორტფოლიოები, ზეპირი განცხადებები, სამეცნიერო პრობლემები და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი კვლევა თანატოლების მიერ მინიჭებულ ქულებსა და შეფასებებზე შემაჯამებელი მიზნებისთვის, ეს განყოფილება ყურადღებას გაამახვილებს თანატოლთა შეფასების განმავითარებელ ტიპზე, რომელიც მოიცავს ხარისხობრივ უკუკავშირს. ასეთი შეფასება მოითხოვს სამ უნარს. პირველი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის უნარს შესაფასებელ სამუშაოსთან დაკავშირებით, მეორე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მესამე სამომავლოდ სფეროების შეთავაზებას სწავლის პროცესში.

კვლევამ აჩვენა, რომ როგორც თანატოლებისგან მიმოხილვის მიღება, ასევე თანატოლებისთვის მიმოხილვის წარმოება აუმჯობესებს სტუდენტთა მუშაობას, წერილი დავალებების შესრულებისას. მიმოხილვების მიღებისას, სტუდენტები აცნობიერებენ სხვადასხვა გზას, თუ როგორ შეუძლიათ მკითხველს მათი ნაშრომის ინტერპრეტაცია, რასაც სტუდენტები შეიძლება დაეთანხმონ, შეიტანონ დამატებები, ან შეეწინააღმდეგონ აღნიშნულ შეფასებას საკუთარი ნამუშევრის შეფასების დროს. ასეთი გამოხმაურება, ხაზს უსვამს შეუსაბამობებს და ეხმარება მათ გაამახვილონ ყურადღება იმ ასპექტებზე, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. მეორე მხრივ, მიმოხილვის წარმოებისას შემსწავლელებს საშუალება ეძლევათ იაზროვნონ კრიტიკულად, გამოიყენონ კრიტერიუმები და ჩაერთონ რეფლექსიის პროცესში.

საერთო ჯამში, სტუდენტებს აქვთ დადებითი დამოკიდებულება თანატოლების გამოხმაურების მიმართ და ისინი დადებითად აფასებენ მიღებულ გამოხმაურებას. სტუდენტები, როგორც შემფასებლები იყენებენ უფრო გასაგებ ენას და მათი კომენტარები უფრო მეტად მიესადაგება ერთმანეთის აღქმის დონეს, რადგანაც შემფასებლები და შესაფასებელი პირები მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ თანატოლთა შეფასების სიზუსტე ერთმანეთისაგან განსხვავდება, ემპირიული მტკიცებულებები ვარაუდობენ, რომ ის სასარგებლოა სწავლის პროცესისათვის.

უკუკავშირის მიწოდება არ წარმოადგენს ადვილ ამოცანას და ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭიროა პედაგოგების მხარდაჭერა. კვლევამ აჩვენა, რომ

უკუკავშირი საგრძნობლად უმჯობესდება, როდესაც სტუდენტებს მიმართავენ წამყვანი კითხვებით. ისინი გვთავაზობენ უფრო დაბალანსებულ ანგარიშს ნეგატიურ და პოზიტიურ მსჯელობებს და უფრო სრულყოფილად შემუშავებულ გეგმას თუ რა უნდა გააუმჯობესოს შესაფასებელმა პირმა და რატომ. გარდა წამყვანი კითხვებისა, რუბრიკის გამოყენება და უწყვეტი პრაქტიკა ეხმარება სტუდენტებს უფრო გონივრული შეფასებების გაკეთებაში და გამოცდილების შეძენაში.

რიგი ინტერპერსონალური ფაქტორები გავლენას ახდენენ თანატოლთა შეფასების ხარისხზე. საერთო ჯამში, სტუდენტები მიდრეკილნი არიან უფრო მეტი ქულა დაუწერონ თავიანთ თანატოლებს, ზოგიერთ შემთხვევაში, მათთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით. ისინი ასევე არ გრძნობენ თავს კომფორტულად მეგობრების მონიშვნაში, იმის შიშით, რომ მათ შესაძლოა უარი მიიღონ. ამრიგად, ანონიმურობას შეუძლია შეამსუბუქოს თანატოლებზე ზეწოლა და მათთვის შექმნას ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პირობები. სტუდენტები ასევე შესაძლოა არ ენდონ თავიანთ თანატოლშემფასებლებს და ასეთი გამოხმაურება ნაკლებად მართებულად მიიჩნიონ. მუდმივი პრაქტიკა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ დისკუსია აყალიბებს გამჭვირვალობას და ზრდის ნდობას მთელი ამ პროცესის მიმართ.

ურთიერთშეფასება/თანატოლთა შეფასება ტექნოლოგიის გამოყენებით

ბოლო დროინდელმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა განავითარა თანატოლთა შეფასების ონლაინ ინსტრუმენტები. *“პიარ სქოლერი“ Peer Scholar (სწავლული თანატოლი)* არის ასეთი ინსტრუმენტის მაგალითი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის სწავლების პროცესში, რომელიც შედგება ოთხი ფაზისგან. სტუდენტები პირველ ტაპზე (შექმნიან) წარადგენენ თავიანთ დავალებას მასწავლებლების ინსტრუქციისა და რუბრიკის მითითებების მიხედვით. მეორე ფაზაში (შეფასება) სტუდენტებმა ანონიმურად უნდა შეაფასონ თანატოლთა დავალებების გარკვეული რაოდენობა; მესამე ფაზაში (გააზრება/შემოწმება) ისინი უნდა დაფიქრდნენ თანატოლების გამოხმაურებაზე და შემდეგ განაგრძონ თავიანთი ნამუშევრების გადახედვა. მასწავლებელმა დასკვნით ფაზაში (შეფასება) უნდა შეაფასოს შესწორებული დავალება და თანატოლთა შეფასების პროცესები. სხვადასხვა კვლევებმა გამოავლინეს სტუდენტების პოზიტიური დამოკიდებულება ასეთი შეფასების მიმართ.

სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ „პიარსქოლარში“ peer Scholar აცხადებენ, რომ მათ მოსწონდათ ანონიმურობა და თანატოლების მოსაზრებების წაკითხვა, ისინი აღიარებდნენ, რომ თანატოლების გამოხმაურება დაეხმარა მათ მუშაობის გაუმჯობესებაში. რაც მთავარია, თანატოლთა შეფასება მათ დაეხმარა კრიტიკული

აზროვნების უნარების განვითარებაში, რადგან სტუდენტებს უნდა შეესწავლათ თანატოლების დავალება, აღნიშნათ მათი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაესაბუთებინათ მათი კომენტარები და წარედგინათ წინადადებები მის გასაუმჯობესებლად. ამან, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მათ მუშაობაზე, რადგან ისინი გახდნენ უფრო კომპეტენტური, შეფასების კრიტერიუმების გამოყენებისა და თვითრეგულირებადი სტრატეგიების შემუშავებაში. საინტერესოა, რომ სტუდენტებისა და მასწავლებლების შეფასებები თითქმის მსგავსი იყო, ხოლო მტკიცებულება მიუთითებს, რომ 5- 6 სტუდენტი შემფასებელი, ოპტიმალურია ეფექტური შედეგის მისაღწევად.

თანატოლთა შეფასება, სასწავლო პროცესის ციფრულ ფორმატებში მნიშვნელოვანი უპირატესობებია. პირველ რიგში, ონლაინ ინსტრუმენტებით, სტუდენტებს შეუძლიათ დაუყოვნებლად დაუკავშირდნენ თანატოლებსაც და პედაგოგსაც და მიიღონ მათგან გამოხმაურება, რაც მეტად უკეთესია საკლასო ოთახში მიმდინარე კომუნიკაციასთან შედარებით. მეორე, საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ ინსტრუმენტები სთავაზობს ანონიმურობას სტუდენტებისთვის, რომლებიც ახორციელებენ უკუკავშირს. თანატოლების მხრიდან ზემოქმედების რისკის მოხსნით, სტუდენტები განიცდიან ნაკლებზე წოლას და უარყოფის შიშს, ისინი ხდებიან უფრო პოზიტიურები, კმაყოფილნი და დამთმობნი თანატოლების შეფასების მიმართ. კვლევა მიუთითებს, რომ სტუდენტები, რომლებიც უკუკავშირს ანონიმურად ახორციელებდნენ ინტერნეტფორუმზე, ხუთჯერ მეტ კრიტიკულ გამოხმაურებას აწვდიდნენ მათთან შედარებით, ვისი ვინაობაც ცნობილი იყო, რაც ხაზს უსვამდა იმას, თუ როგორ მოქმედებენ ინტერპერსონალური ცვლადები თანატოლთა შეფასების ხარისხზე.

მტკიცებულებები თანატოლების შეფასების შესახებ

კვლევების სისტემატური მიმოხილვა მიუთითებს თანატოლთა შეფასების დადებით გავლენაზე სტუდენტთა მიღწევებზე. ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ თანატოლთა შეფასება დადებითად აისახება სტუდენტთა მოტივაციაზე, თვითრეგულირების უნარზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, პრობლემის გადაჭრის უნარზე და ზოგადად სტუდენტთა სწავლისა და მუშაობის გაუმჯობესებაზე.

ბიბლიოგრაფია:

არენდიბ.დ. (2017). კურსის შეფასების ინსტრუქციები და სტუდენტების სწავლის პროცესის სტრატეგიები ონლაინკურსებში. ასინქრონული სასწავლო ქსელების ჟურნალი, 11(4), 3-17.

- მაკლუგლინქ ,&ლუკა, ჯ (2016). საუკეთესო დადგენილი წესი ონლაინ შეფასებისას: პრინციპები, პროცესები და შედეგები. საგმედია + ინოვაციური სწავლება (გვ. 2375-2382). ასოციაცია განათლებაში კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებისთვის აგტგ (AACE).
- მაკლუგლინქ ,&ლუკა, ჯ (2016). საუკეთესო დადგენილი წესი ონლაინ შეფასებისას: პრინციპები, პროცესები და შედეგები. საგმედია + ინოვაციური სწავლება (გვ. 2375-2382). ასოციაცია განათლებაში კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებისთვის აგტგ (AACE).
- ნაითს (2009). *ეფექტური პრაქტიკა ციფრულ ეპოქაში. გზამკვლევი ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლისა და სწავლებისთვის. უმაღლესი განათლების და ფინანსების საბჭო ინგლისისთვის (HEFCE).*
- კაპსალისი, გ., ფერარი, ა., პუნე, ი., კონრადი, ჯ., კოლადო, ა., ჰოტულაინენი, რ., ... დაილსლი, პ. (2019). *ინოვაციური შეფასების მტკიცებულება: ლიტერატურის მიმოხილვა და შემთხვევის შესწავლა. ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების სამსახური.*
- ორლანდოჯ. (2011). *როგორ შევასოთ ეფექტურად ონლაინ სწავლების პროცესი. მედისონი, ვი: მაგნაპაბლიქეიშენს.*
- კონრადი, დ, &ოპენო.ჯ. (2018). *ონლაინ სწავლების შეფასების სტრატეგიები: ჩართულობა და ავთენტურობა. ათაბასკა: ათაბასკის უნივერსიტეტის პრესა ოდიფილდა. ბროდფუდპ, სარზერლენდრ, &თიმისს.. (2012). შეფასება ციფრულ ეპოქაში: კვლევის მიმოხილვა. ბრისტოლი: ბრისტოლის უნივერსიტეტი.*
- ვესტსაიზენდ. 2016). *სახელმძღვანელოები ონლაინ შეფასებისთვის პედაგოგებისთვის. ბრიტანული კოლუმბია: განათლების თანამეგობრობა.*
- ვეიმ, &სოსულსკი, კ (2018). *ონლაინ კურსის შექმნის საფუძვლები: სტანდარტებზე დაფუძნებული გზამკვლევი. ნი:როუტლიჯი*
- მოსწავლეთა შეფასება. ანჯელოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ბლოგი. https://www.angelo.edu/faculty-and-staff/instructional-design/online-teaching/section_62.php
- პეტრიაშვილი, სამსონია, ახალაძე, მიქელაძე, ნუტოვ, ავად, ვირკუს, ლეპიკ, კვარაცხელია და ა. შ. (2020) იზაბელა პეტრიაშვილი, ირინა სამსონია, ლია ახალაძე, დიანა მიქელაძე, ლიორა ნუტოვ, იასერ ავად, სირიე ვირკუს, აირა ლეპიკ, კატერინ ო'მაჰონი, მანუელ ფოერსტერ, იულიან კლაუს ღია ციფრული სამკერდე ნიშნები. თბ., 2020.
- ჰაინრიხს, ფოერსტერ, კლაუს, ალთ, აბრამოვიჩი (2020) - კარინ ჰაინრიხს მანუელ ფოერსტერ, ჯულიან კლაუს, დორით ალთ, ანატ აბრამოვიჩი ცნების რუკები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ ,2020.

- ალთი და სხვები.... (2020) - დორით ალთ, ნირიტ რეიჩელ, მაკა მურვანიძე, მარინე გოგნელაშვილი, ქერინ ჰეინრიხს, რეიჩელ იჩლერ, არიელა გორდონ შააგ, ანატ აბრამოვიჩ, მარიან მაკკართი, ურთიერთშეფასება.
- პელეგრინო, ჯ.ვ. (2010). შეფასების სისტემის დიზაინი მწვერვალზე ასვლისთვის: სასწავლო მეცნიერებების პერსპექტივა ზრდისა და გაზომვის საკითხებზე. პრინსტონი: საგანმანათლებლო ტესტირების სამსახური.
- პერიტ. ე. (1997). სასწავლო პასუხების ჟურნალი: შეფასების ინსტრუმენტი. ინგლისური ჟურნალი, 86 (1), 41–44.
- ვალინ პ., ადავი ტ. (2017). რეფლექსიური დღიური, როგორც თვითრეგულირებადი სწავლის განმავითარებელი შეფასების მეთოდი. განათლების ევროპული ჟურნალი, DOI: 10.1080/03043797.2017.1290585

Bibliography

- Arend, B. D. (2017). Course assessment practices and student learning strategies in online courses. *Journal of Asynchronous Learning Networks*, 11(4), 3-17.
- McLoughlin, C., & Luca, J. (2016). Best practice in online assessment: Principles, processes and outcomes. In *EdMedia+ Innovate Learning* (pp. 2375-2382). Association for the Advancement of Computing in Education (AACE).
- McLoughlin, C., & Luca, J. (2016). Best practice in online assessment: Principles, processes and outcomes. In *EdMedia+ Innovate Learning* (pp. 2375-2382). Association for the Advancement of Computing in Education (AACE).
- Knight, S. (2009). *Effective Practice in a Digital Age. A Guide to Technology-Enhanced Learning and Teaching*. Higher Education Funding Council for England (HEFCE).
- Kapsalis, G., Ferrari, A., Punie, Y., Conrads, J., Collado, A., Hotulainen, R., ...& Ilsley, P. (2019). *Evidence of innovative assessment: Literature review and case studies*. Luxembourg: Publications Office of the European Union.
- Orlando, J. (2011). *How to Effectively Assess Online Learning*. Madison, WI: Magna Publications.
- Conrad, D., & Openo, J. (2018). *Assessment Strategies for Online Learning: Engagement and Authenticity*. Athabasca: Athabasca University Press.
- Oldfield, A., Broadfoot, P., Sutherland, R., & Timmis, S. (2012). *Assessment in a Digital Age: A Research Review*. Bristol: University of Bristol.
- Westhuizen, D. (2016). *Guidelines for Online Assessment for Educators*. British Columbia: Commonwealth of Learning.

Vai, M., & Sosulski, K. (2018). *Essentials of Online Course Design: A standards-based Guide*. NY: Routledge.

Student Assessment. Educational blog of Angelo State University.

https://www.angelo.edu/faculty-and-staff/instructional-design/online-teaching/section_62.php

Petriashvili, Samsonia, Akhaladze, Mikeladze, Nutov, Avad, Virkus, Lepik, Kvaratskhelia and others. Sh. (2020) Isabella Pteriashvili, Irina Samsonia, Lia Akhaladze, Diana Mikeladze, Liora Nutov, Yasser Avad, Syria Virkus, Ira Lepik, Katherine O'Mahon, Manuel Forrester, Julian Klaus Open Digital Badges. Tb., 2020 (in Georgian)

Heinrich, Forrester, Klaus, Alt, Abramovich (2020) - Karin Heinrich, Manuel Forrester, Julian Klaus, Dorit Alt, Anat Abramovich Concept maps. Tbilisi, Meridian Publishing House, 2020. (in Georgian)

Alt and others (2020) - Dorit Alt, Nirit Rachel, Maka Murvanidze, Marine Gognelashvili, Kerin Heinrich, Rachel Eichler, Ariela Gordon Shag, Anat Abramovich, Marian McCarthy, mutual evaluation. (in Georgian)

Pellegrino, J. W. (2010). The Design of an Assessment System for the Race to the Top: A Learning Sciences Perspective on Issues of Growth and Measurement. Princeton: Educational Testing Service

Perritt, E. (1997). The learning response log: An assessment tool. *The English Journal*, 86(1), 41–44.

Wallin, P., & Adawi, T. (2017). The reflective diary as a method for the formative assessment of self-regulated learning. *European Journal of Engineering Education*, DOI: 10.1080/03043797.2017.1290585